შპს “ბალავერი”

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №42-44
(ს/კ 01.10.15.0017.005)
არსებულ კედელში ღიობის მოწყობის შესაძლებლობის შესახებ

თბილისი

2024წ

I წარმოდგენილი მასალები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -2 ფურცელი
2. პროექტის გეგმა – 1 ფურცელი
3. პროექტის ფოტომონტაჟი
4. არსებული სიტუაციის ფოტომასალა

II ზოგადი მიმოხილვა:

წარმოდგენილი მასალების გაცნობისა და არსბული შენობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ კარის ღიობი, ზომებით bXh=1.3X2.20მ. უნდა მოეწყოს აგურის თვითმზიდ კედელში, სისქით 51სმ. შენობის საპროექტო უბანში მზიდ კონსტრუქციებს (კედლები, გადახურვის ღრუტანიანი ფილები) საშიში ბზარები და დეფორმაციები არ აღენიშნება. შენობის მდგრადობიდან გამომდინარე აღნიშნული ღიობის მოწყობა კონსტრუქციულად შესაძლებელია, იმ პირობით თუ იგი მოჩარჩოვდება ლითონის ელემენტებით, თანდართული სქემის მიხედვით (იხ. დანართი 1)

III დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №42-44 (ს.კ 01.10.15.017.005) შენობა-ნაგებობის არსებულ კედელში კარის ღიობის მოწყობა, თანდართული სქემის მიხედვით შესრულების შემთხვევაში, უარყოფით გავლენას არ იქონიებს შენობის მდგრადობაზე. შესაბამისად ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.



ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ.გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com

21.08.2023

დანართი 1

ღიობის მოჩარჩოების სქემა



ჭრილი 1–1



პოზ. 1
ჩარჩოს ღობარი
L 100×7 ℓ=2100მმ



პოზ. 2
ზღუდარის კოჭები
2 [№12 ℓ=2000მმ



პოზ. 3
შრემკრავი ზოლოვანა 1
—100×6მმ ℓ=1220მმ



პოზ. 4
სამაგრი ზოლოვანა
—100×6 ℓ=450მმ



პოზ. 5
საყრდენი კოჭები
2 L 100×7 ℓ=1500მმ



ლითონის სპეციფიკაცია კარის ჩარჩოსთვის						ჯამური ამოკრეფა	
პოზ.	დასახელება	კვეთი	ℓ (მმ)	რაოდ.	სულ ℓ (მ)	კვეთი	სულ ℓ (მ)
		კარის ჩარჩო				L100×7	12
1	ჩარჩოს ღობარები	L100×7	2200	4	8.8	[№12	4
2	ზღუდარის კოჭები	[№12	2000	2	4	—100×6	12
3	შემკრავი ზოლოვანა 1	—100×6	1220	6	7.2	M16 ℓ=500 5 ცალი	
4	შემკრავი ზოლოვანა 2	—100×6	450	4	2	M16 ℓ=150 12 ცალი	
5	საყრდენი კოჭები	L100×7	1500	2	3		
6	ზღუდარის ჭანჭიკი	M16	500	5	----		
	სამაგრი ჭანჭიკი	M16	150	12	---		

CV

თამაზ გეგეჭკორი



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 10.05.1951 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: მობ: 555 419 508
E-mail: gegechkori1951@gmail.com

1951 დავიბადე მარტვილის რაიონში.
1968 დავამთავრე თბილისის კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლა.
1973 დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი წარჩინებით და მივიღე ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა.
1973-74 განაწილებით ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად თბილზნიეპის მე-2 არქიტექტურულ სახელოსნოში. ამავე წლებში ვსწავლობდი სეისმომედეგობის ინსტიტუტის ასპირანტურაში დაუსწრებლად.
1977-83 ვმუშაობდი ტიპიური პროექტების ცენტრალური ინსტიტუტის ექსპერტიზის განყოფილებაში ჯგუფის ხელმძღვანელად, მშენებარე ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველად.
1983-98 ვიყავი საქსახპროექტის მე-2 სამშენებლო განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ უფროსი. ამ პერიოდში დაპროექტებული მაქვს რესპუბლიკით მასშტაბით მრავალი სამრეწველო ობიექტი და განხორციელებული მათი მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა.
1991-93 ვმონაწილეობდი მიწისძვრით დაზიანებული სახლების აღწერასა და აღდგენაში.
1994-98 შევასრულეთ ქ. ფოთის პორტის რეკონსრუქციის პროექტი.
2009-11 ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად შ.პ.ს. “ედრი+”-ში.
2011-16 ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად შ.პ.ს. “ჯორჯიან ჰიდრო ფაუერი”-ში.
2016-დღემდე ვმუშაობ შ.პ.ს. “ბალავერ”-ში.
ოჯახური მდგომარეობა : მყავს მეუღლე მანანა გეგეჭკორი, და ვაჟი გიორგი გეგეჭკორი,
ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

მისამართი : თბილისი, ნუცუბიძის პლატო 2 მ.კ. 1 კვ. 1 კორპ. ბ.50

СВИДЕТЕЛЬСТВО О ПЕРЕМЕНЕ ФАМИЛИИ, ИМЕНИ, ОТЧЕСТВА
გვარის, სახელის, მამის სახელის გამოცვლის მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე [illegible]
фамилия / გვარი

[illegible] [illegible] [illegible]
имя, отчество / სახელი, მამის სახელი

родившийся (аяся) / დაბადებული 10 [illegible] 1957 წ.

место рождения / დაბადების ადგილი [illegible]

переменил (а) фамилию, имя, отчество на / გამოიცვალა გვარი, სახელი, მამის სახელი [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] და

о чем в книге регистрации актов о перемене фамилии, имени, отчества
[illegible]

1982 года / წლის [illegible] месяца / თვის 10 числа / რიცხვს

произведена запись за № 57
ჩანაწერის ნომერი

Место регистрации / რეგისტრაციის ადგილი [illegible]
наименование и местонахождение органа ЗАГС

[illegible]

Дата выдачи / გაცემის თარიღი 10. 07 1982

М.П.

Заведующий отделом (бюро)
ЗАГС [illegible]
[illegible]
[illegible]

I-ТИ № 263478

[illegible] Грузия. [illegible]

დიპლომი

ჯაჭინებით

ა № 001038

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

а № 001038

Настоящий диплом выдан Дзодзикари

Гурам Шалвовичу

в том, что он в 1963 году поступил

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1933 году окончил полный курс

машиностроительных

по специальности

Промышленное и гражданское

строительство

Решением Государственной экзаменационной

комиссии от „25" июня 1933 г.

Дзодзикари Г.Ш.

присвоена квалификация

строителя

Ректор

Председатель

„ 1933 г.

Регистрационный № 47


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
თამაზ
TAMAZ
გვარი / LAST NAME
გეგეჭკორი
GEGETCHKORI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01010015476
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
10.05.1951
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
25.04.2026
ბარათის No / CARD No
15IB00660
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
მარტვილი
MARTVILI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
25.04.2016
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB00660701010015476<<<<
5105106M2604251GE0<<<<<<<<<<<1
GEGETCHKORI<<TAMAZ<<<<<<<<<<<

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ბრძანება:**ბ61. 01242854**

თარიღი:**11/10/2024**

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.017.035) 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „თ და კ რესტორნებისთვის“ (ს/ნ: 204909180) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122^1 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 25.09.2024წ. N24.1595.1820 განკარგულების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 04.10.2024წ. N518 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „თ და კ რესტორნებს“ (ს/ნ: 204909180) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცეს: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N40-46-ის მიმდებარედ არსებული 1902 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.017.035) 70 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის და ასევე - კიბის უჯრედის და პანდუსის განთავსების მიზნით, ამ ბრძანების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით.

2. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

3. საიჯარო პირობები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად.

4. განისაზღვროს საიჯარო ქირის წლიური საფასურის თანაბარწილად გადახდის შესაძლებლობა ყოველ 3 თვეში ერთხელ პერიოდულობით.

5. ეს ბრძანება, შპს „თ და კ რესტორნების“ (ს/ნ: 204909180) მხრიდან გაცნობისთანავე გათანაბრებულია იჯარის ხელშეკრულებასთან, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს თანდართული საიჯარო პირობები.

6. საიჯარო ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით) და შპს „თ და კ რესტორნები“ (ს/ნ: 204909180).

7. ამ ბრძანებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სიტუაციური ნახაზი დანართი 1



პროექტი

დანართი 2

საიჯარო პირობები

1. გადაცემულ ქონებაზე იჯარის უფლება წარმოიშობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან.
2. 2.1. მიწის ნაკვეთი (იჯარის საგანი) მოიჯარეს გადაეცემა ღია კაფეს მოწყობის და ასევე - კიბის უჯრედის და პანდუსის განთავსების მიზნით.
   2.2. იჯარის საგნის ტერიტორიაზე კონსტრუქციების/ინვენტარის განთავსება უნდა შეთანხმდეს სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან.
3. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური შეადგენს 15744 (თხუთმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარს (შემდგომში „სარგებლობის ქირა“).
4. წლიური საიჯარო ქირის საფასური (სარგებლობის საფასური) გადახდილი უნდა იქნეს თანაბარწილად, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. გადახდის ვადა აითვლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის მომენტიდან.
5. წლიური საიჯარო ქირის საფასური (სარგებლობის ქირა) გადაირიცხება შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
   მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
   მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
   ბანკის კოდი: TRESGE22
   საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773047
   (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი)
6. 6.1. საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია, გაზარდოს საიჯარო ქირის საფასური (სარგებლობის ქირა) შესაბამისი ოდენობით. ასევე, ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიწის საბაზრო ფასის ცვლილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის საფასურის (სარგებლობის ქირის) გადახედვა ურთიერთობის მონაწილეების მიერ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე. მეიჯარე ამ პირობებით განსაზღვრული წესით ატყობინებს მოიჯარეს ახალი სარგებლობის ქირის ოდენობას. წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის და საიჯარო პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა.
   6.2. მეიჯარე უფლებამოსილია, 6.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ გადახედოს საიჯარო ქირის საფასურის (სარგებლობის ქირის) ოდენობას.
7. მოიჯარე ვალდებულია, მეიჯარის პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლოს იჯარის ფორმით გადაცემული ქონება 1 თვის ვადაში.
8. იჯარით გადაცემულ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელის თანხმობის გარეშე, მოიჯარემ არ უნდა განათავსოს რეკლამა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკლამის გარდა.
9. საიჯარო ქირის საფასურის (სარგებლობის ქირის) გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.
10. მეიჯარე ადასტურებს, რომ თანახმაა მოიჯარემ გამოიყენოს იჯარის საგანი ღია კაფეს მოწყობის და ასევე - კიბის უჯრედის და პანდუსის განთავსების მიზნით. სხვა მიზნობრიობით იჯარის საგნის გამოყენებისას მოიჯარე ვალდებულია მიიღოს მეიჯარის წინასწარი თანხმობა.
11. იჯარის ვადის გასვლის შემდგომ მოიჯარე ვალდებულია იჯარის საგანი დააბრუნოს და, მეიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში.
12. იჯარის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მოიჯარე.
13. მეიჯარე უფლებამოსილია, მოიჯარის ხარჯით თავად განახორციელოს იჯარის უფლების (სარგებლობის უფლების) რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები.

14. იჯარის უფლების (სარგებლობის უფლების) სავალდებულო რეგისტრაცია საჯარო რეესტრში უნდა განხორციელდეს საიჯარო ურთიერთობის გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15. მოიჯარეს არ აქვს უფლება, იჯარის საგანი სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის: გააქირაოს, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) მესამე პირს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, მოიჯარე პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.
16. მოიჯარე ვალდებულია იჯარის საგნის გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, სარგებლობის პირობები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მოთხოვნისთანავე, მეიჯარის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს ინფორმაცია მას.
17. ამ პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოიჯარეს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლო, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია წინამდებარე პირობებით.
18. წინამდებარე პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა მეიჯარის მიერ მიიჩნევა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. მოიჯარეს არ აუნაზღაურდება გადაცემულ იჯარის საგანზე გაწეული ნებისმიერი ხარჯი. მეიჯარე უფლებამოსილია, ასევე მოითხოვოს ქონებისთვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის და/ან ზარალის ანაზღაურება.
19. საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღებ პირს არ უბრუნდება შემოტანილი თანხა და არ აუნაზღაურდება გაწეული ხარჯები.
20. მოიჯარე ვალდებულია:
    20.1. დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს, თუ იჯარის საგანს აღმოაჩნდება ნაკლი;
    20.2. მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მეიჯარეს წერილობითი ინფორმაცია წინამდებარე პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;
    20.3. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის განხორციელებაში;
    20.4. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, კანონმდებლობით და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;
21. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრება 22-23 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
22. სარგებლობის ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არანაკლებ 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.
23. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარეს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.
24. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით:
    მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო;
    მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
    ბანკის კოდი: TRESGE22
    საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773287
    (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი)
25. საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:
    25.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
    25.2. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად: წინამდებარე პირობების 6.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მე-7 და მე-18 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში.
    25.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
26. საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება იჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;
27. საიჯარო ურთიერთობა წყდება მოიჯარის განცხადებისა და მეიჯარის გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა მეიჯარის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია მეიჯარის გადაწყვეტილება;

28. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე პირობებში, შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით – მოიჯარის განცხადებისა და მეიჯარის გადაწყვეტილების საფუძველზე.
29. სსიპ - ქონების მართვის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ხელშეკრულებაში უცვლელი პირობებით სარგებლობის უფლების მიმღები პირის ცვლილების/ჩანაცვლების თაობაზე.
30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ წინამდებარე პირობებში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში მოიჯარის თანხმობა გამოიხატება პირობებზე ხელმოწერით;
31. წინამდებარე პირობებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
32. დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.
33. ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა სახის კორესპონდენცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, უნდა გაიგზავნოს პერსონალური გადაცემის გზით, წინასწარ გადახდილი დაზღვეული ფოსტით, საკურიერო სამსახურით ან ფაქსით, ასევე მეიჯარის მიერ 35-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით შესაბამის მხარესთან შემდეგ მისამართზე:

   მოიჯარე: **შპს „თ. და კ. რესტორნები" (ს/ნ: 204909180)**

   მისამართი: თბილისი, ძმ. კაკაბაძეების ქ. N1

   მობილური ტელეფონი: 599896459

   ელ. ფოსტა: eebralidze@mcdonalds.ge

   მეიჯარე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

   მისამართი: ჟ. შარტავას №7, ქ. თბილისი, საქართველო
34. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიმღები მხარის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გამგზავნი მხარის მიერ გაგზავნის შემთხვევაში.
35. მეიჯარის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) მოიჯარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ჩალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან. ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი გზავნილის ჩაბარება დასტურდება ადრესატის მიერ ელექტრონული საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.
36. http:/iauction.ge ან/და ნებისმიერი მსგავსი ფუნქციის მქონე ვებგვერდის/ელექტრონული პროგრამის საშუალებით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის/მონაცემ(ებ)ის/დოკუმენტ(ებ)ის (მათ შორის, ინვოის(ებ)ის) ელექტრონულად მიღების შესაძლებლობა ემსახურება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციული უზრუნველყოფის/ტექნიკურად მართვის გაადვილების მიზანს. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესახებ ამგვარი ფორმით მიღებული ინფორმაცია/მონაცემები/დოკუმენტაცია (მათ შორის ინვოისები) არ ზღუდავს/არ გამორიცხვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოიჯარის ვალდებულებას/პასუხისმგებლობას მეიჯარის მიმართ. ამასთან, ამგვარი ფორმით მიღებულ ინფორმაციას/მონაცემ(ებ)ს/დოკუმენტ(ებ)სა (მათ შორის ინვოის(ებ)ის) და ამ ხელშეკრულების პირობებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

გავეცანი ბრძანებას თანდართულ საიჯარო პირობებთან ერთად და ვეთანხმები

ჩავიბარე: --

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თარიღი: 11.10.2024